შეუსწავლია „ისტორიის ფილოსოფია“, მას ყოველთვის ჰგონია, რომ, რასაც მე დღეს ვწერე, იმას ჩემი საკუთარი ჭკუით ვწერე, ჩემი გონებით ვმოქმედებ და სხვებს ვამოქმედებო. დიდი შეცდომაა ეს, დიდი სიბრყველა. კერძო პირი ცხოვრებაში უბრალო პაიკია, რომელსაც ისტორიული ძალა და ჩარხი ატრიალებს ან ათამაშებს. ათასიც რომ იხტუნოს ამ პაიკმა, ათასიც რომ თავის ნებით გაიწიოს, ქვეყნის ჩარხის ბრუნვა მას მინც უპოვის თავის ადგილს და თავის ნებაზე დაატრიალებს. მართალია, კაცის გონიერებასაც ბევრი შეუძლია ამ საქმეში, მაგრამ ეს ბევრის შეძლება მართო იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი პაიკი გაიგებს, რა ძალა ათამაშებს იმას, და ამ ძალით ისარგებლებს, ამ ძალას დაეხმარება; ზოგი კი ამას ვერ მიხვდება და ბრყველად თავს გაალახინებს, ან მთელ თავის ღონეს ამ ძალასთან შეუფერებელ ბრძოლაში დაღვეს... ეს უნდა გვახსოვდეს კარგად, მეტადრე იმიტომ, რომ ჩვენში ზოგიერთს ყმანვილთაგანს ჰგონია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყება და მითვე გათავდება. სლავიანოფილების პირველი თვისება ის იყო, რომ თავიანთს ყველაფერს იწონებდა ან თავიანთს-სცემდა, და უცხოეთისას ყველაფერს იძულებდა ან აძაგებდა. ნაბილწულიაო ყოველი კაცი, ვინც რუსულ ენას არ ხმარობს და ვისაც უცხო ენაზე გინდ ერთი სიტყვაც წაუცდებო. შენიშნეთ, რომ რუსული ენის გამამშვენებლად და გამამდიდრებლად სლავიანოფილები კი არ გამოდგენ, არა. ევროპის განათლების მომხრე მწერლებმა: პუშკინმა, ლერმონტოვმა, გოგოლმა, ლერცენმა და სხვ. გაამდიდრეს ეს ენა მით, რომ ხალხის ლაპარაკს დაუახლოვეს მწერლობის კილო, რომ ხალხის ენისგან მწერლობაში ათასობით შემოიტანეს ახალი სიტყვები და სიტყვისწყობილობა. შენიშნეთ, კიდევ, რომ არც შიმშოვის, არც ხომიაკოვის, არც კირევსკის, არც აპ. გრიგორიევის ენა რუსის ხალხს არ ესმოდა, სწორედ ისე, როგორც დღეს ჩვენს ხალხს „ივერიის“ მწერლების ენის გაგება უჭირს... სლავიანოფილების მეორე თვისება ის იყო, რომ უცხოეთის ცხოვრებას, ძალას, მოძრაობას და განზრახვას ყურს სრულიად არ უგდებდნენ. ჩვენს დროში ვერც ერთი ხალხი, რაგინდ ძლიერი, ან დიდი იყოს, თავისთავად ვერ იცხოვრებს ისე, რომ სხვა ხალხთან დამოკიდებულება ან განწყობილება არ ჰქონდეს. თუნდ მართლაც შეეძლოს ამ ხალხს თავის თავად განკერძოებული ცხოვ-

რება, იმას ხომ მინც ვერ იტყვის, ჩემს დღეში არც ერთ სხვა ხალხთან შეტაკება არ მომიხდება? სლავიანოფილებს მართო რუსეთში კი არ უნდა ემოქმედათ, მართო რუსეთის ხალხის გაღვიძებისათვის კი არ უნდა ეშრომათ, უცხოეთლების შეგონებას, შეჩერებას და შეკავებას უნდა დაეწყათ. უცხოეთლების გულში სლავიანების შესახებ კაცობრივი გრძნობა უნდა გაეღვიძებიათ, უნდა უცხოეთი ავლელვებით იმ სურათის გამოსახებით, როგორსაც სლავიანების გაჭირვებული მდგომარეობა წარმოადგენდა. მათ უნდა აეხსნათ უცხოეთისთვის, რომ სლავიანებიც ღვთის გაჩენილი ადამიანები არიან, რომ გონება მათაც ჰქონიათ, რომ სლავიანების პოეზია, მწერლობა, მუზიკა, ჩვეულებანი და სხვა ამ გვარი თვისებანი ყოველი განათლებული კაცისგან პატივისცემას მოითხოვენ იმ ხალხისთვის, რომელსაც ამდენი გაჭირვება გამოუვლია, ამდენი უშრომია და დღეს კი საცოდავი მონობა ლუპავს იმის მაგიერ, რომ ეს მათი საქმისთვის საჭირო მოვალეობა შეესრულებიათ, ისინი სწორედ ჩვენებურ პატივით გრძნობს — მოლაღატედ სთვლიდნენ იმ მწერლებს, ვინც ამ გახს ადგა... სლავიანოფილების მესამე თვისება ის იყო, რომ გარეგან შეხედულებას, გარეგან საქციელს და სიტყვას ისინი ყოველთვის მეტ მნიშვნელობას აძლევდნენ, ვინც თვითონ საქმეს ან მის არსებითს მხარეებს. ისინი ცდილობდნენ, რომ რუსგლეხები ჩაეცვათ ტანისამოსი, თმა რგვლივ შამოეკრიჭათ, წვერი მოეშვათ, ვოტკა ესვათ. მათ ეგონათ, ხალხთან დაახლოვება, ხალხის ამაღლება ამაში მდგომარეობსო. ხავერდის შარვალს ჩაიცვამდნენ, აბრეშუმის ნითულ პერანგს, მოყვითალო ქამარს შემოირტყამდნენ, თავზე ქუჩრულ ქუდს იხურავდნენ და ისე მიბრძანდებოდნენ თავიანთ სოფელში, რომლის ყველა გლეხები მათი ყმა და მონა იყვნენ. ხალხისთვის მათი ენა გაუგებარი იყო, მათი ტანსაცმელები უცნობი და, რასაკვირველია, მათი სიტყვა უნდო, ამიტომ რომ საქმით უმველებელი წინააღმდეგობა და მტრობა იყო ამ „განათლებულ და კეთილის მოსურნე მებატონეებსა“ და მათ გლეხებს შუა. — „ჩვენი ბატონია, ჩვენი გამტყავებელი ბატონი, მამასადამე, ჩვენი მტერი უნდა იყოსო, მამასადამე, ყოველი მისი სიტყვა მტრული უნდა იყოსო“. აი, რას ფიქრობდა გლეხკაცობა. ამ ვაჭბატონების ლაპარაკის დროს... ავიწყდებოდათ სლავიანოფილებს, რომ მართო ცარიელი სიტყვით კი არ მოიგება ხალხის გული, რომ მარ-

«ვინ, როგორი ბრძანი, ისტორიკოსი ან ეთნოგრაფი გვაცხვის ღვთს, როგორი იყო ნაფილი და პირაულ-დროინდელი ქართველების გუნება, ზნე, ხასიათი, თვისება? რა შეგვიჩინა ჩვენი საკუთარი ან რა გამოგვიჩინა და მოგვადო სხვისი? ჩვენი რა გვაცხის ღვთს და სხვისი რა ან როგორი რა? ვინ იხის ეს! მართალია, გვიჩინა არც საჭიროდ უნდა მიჩნდეს ამ ნაირი გამოკვლევა, მაგრამ, ღვთს ამ უბედურ მიგაგვიქვლიოს პირიოლი როგ, ღვთის მადლით, ჩვენთვის გათავდა, და ვინაგვით შეგვგონოს ისტორიულ პერიოდს, პერიოდს ჩვენის თვისებობისაგან დაგვიჩინოს, მათის მებად საჭიროს არის და გამოსადვიოს ვიხოდეთ — ჩვენი თვისებობა ნაფილად რაში მდგომარეობს, ან როგორ თვისებობას უნდა დაუხაროდეთ, დაუახლოვდეთ?»



ნიკოლი ნეხლიუდოვი

ტო „ერთმანეთი გვიყვარდნენ“, „ერთობა ვიქონიოთ“, საკმაო როდია, ნამდვილი ერთობის დასაარსებლად... ამის გამო ისინი სრულიათაც არ იკვლევდნენ მეცნიერულად იმ კითხვას, თუ რუსეთის ხალხში რას მოუხდენია ერთობის დარღვევა, რა ძალა უშლის ერთობის დაარსებას. მეოთხე თვისება სლავიანოფილებისა იმამო მდგომარეობდა, რომ ყოველდღე რომელსავე უცხო ნაციონალობას დევნიდნენ. დღეს ნემცებს ჩაეჯობებოდნენ და ღრიალს იწყებდნენ: შეგვჭამეს ნემცებმა, რაც ადგილია, მათ დაიკავესო, რაც დუქნებია, მათ ხელში არისო, რაც ვაჭრობა ან ალბ-მიცემობა მოიპოვება, მათიო, პურსაც ისინი გვიცხოვენ, ხორცსაც ისინი გვიჭრიან, წაღებსაც გვაძევენო, ტანსაცმ-

ელსაც გვიკერავენო და სხვ. უცხოეთის გამოცდილების მიღება და მისი სწავლის შედეგად და ფრანგული ენის, საკონლის დევნას თუ კიცხვას იწყებდნენ; ზეგ იტალიურ ოპერას ჩაეკიშებოდნენ, მაზეგ დაანესებდნენ — ინგლისურ სასმელებს ნურვინ სვამსო, ინგლისიდან მამინები ნურავის მოაქვსო და სხვ. და სხვ. აი, სწორედ ისე, როგორც ამას წინათ ერთმა ჩვენმა პატრიოტმა დაუბოლოებელი სტატია დაწერა, როგორ შეიძლება, თფილისში ვინმემ მოსკოვიდან კალაჩების (პურის) მცხობედი დაიბაროს, განა ჩვენ ხაბაზი ცოტა გვყავსო, განა პურის ცხობა ჩვენ წინაპრებს არ სცოდნიათო და სხვ. საქმე, რასაკვირველია, სლავიანოფილების კიყინით არც კეთდებოდა, არც იცვლებოდა. სულ სხვა იქნებოდა, მათ რომ საქმით ემეველათ ამ შენიშნულ ვნებისთვის, ან ხეივანი რჩევა მიეცათ ხალხისთვის, თუ როგორ, რა გზით შეეძლება მას ნემცების ან ფრანცუზების უპირატესობისაგან თავის დახსნა, ენსაღვლებით, იმ დალოცვილებს — ნემცებებით იმუყაითეთ, მათსავით ისწავლეთ ხელისნობა და შრომაო, ეს სირცხვილი კი არა, ჩინებული საქმე იქნებოდა, და სხვ. და სხვ. გაეხსნათ სამოსწავლო და სახელოსნო სასწავლებლები და სხვა ამგვარი დანესებულებანი, მაშინ რუსობას ადვილად შეეძლებოდა იმ ადგილების ან მდგომარეობის დაპყრობა, რომელიც ნემცებსა თუ ფრანცუზებს ჩაეგდოთ ხელში. ისიც მოიფიქრეთ, თუ რა გასაკვირველი უნდა ყოფილიყო, რკინის გზის ან სპეციალური სამსახურის ადგილები ნემცებს რომ კავებოდათ, რაკი სლავიანოფილები დილიდგან საღამომდინი იმას ქადაგობდნენ, უცხოეთის მეცნიერება ჩვენ გვავენებსო, საჭირო არ არისო

სჯობს, კარგად აწვინ-დაწვინოთ: რა აქვთ სხვებს კარგი — ისეთი, როგორი უთვინსაგან ჩვენს გუნებასაგან შეუქლია, და ჩვენ რა გვაცხის სჯობს — ისეთი, როგორი თავიდან მოშორებას უსაძლებელია. მერა იქნებ პური ჩვენზე გამოგვიხსოს, სახორცე პირუტყვის ჩვენზე გაგვიხარდა, «ნაღები» ჩვენივე შექარული ჩაგვიხსნა და ტანსახელების...

P.S. დღეს საქართველოში უამრავი უცხოური ფირმა მოღვაწეობს — აშენებენ, მოწყაფთ მოსავალი, აწარმოებენ პროდუქციას და ა.შ. ჩვენ კი დაბოლმელები მხოლოდ გზუზღუნებთ: ნაგველს ამ ურჯულოებმა, ლამის ქვეყანას დაეპატრონონ; რაც ადგილია, მათ დაიკავესო; რაც დუქნებია, მათ ხელში არისო; რაც ვაჭრობა ან ალბ-მიცემობა მოიპოვება, მათიო; პურსაც ისინი გვიცხოვენ, ხორცსაც ისინი გვიჭრიან, წაღებსაც გვაძევენო, ტანსაცმელსაც გვიკერავენო და სხვ. (ნიკოლი ნეხლიუდოვი).
ამ უაზრო ბუზღუნს ხომ არ სჯობს, კარგად აწვინ-დაწვინოთ: რა აქვთ სხვებს კარგი — ისეთი, რომლის შეთვისებას ჩვენს ბუნებასაც შეუძლია, და ჩვენ რა გვაქვს ცუდი — ისეთი, რომლის თავიდან მოშორებასაც შესაძლებელია. მერე იქნებ პური ჩვენზე გამოგვეცხო, სახორცე პირუტყვი ჩვენზე გაგვიხარდა, „ნაღებიც“ ჩვენივე შექარული ჩაგვეცვა და ტანსაცმელიც...

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თვით სახელისუფლო ორგანოებშიც კი აქა-იქ თუ აქვთ გავითავი გამოწერა, საქართველოს პარლამენტის თითქმის არც ერთ დეპუტატს გავითავი, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკა“, გამოწერა არ აქვს... გახსოვთ, ალბათ, 2004 წელს გაბრაზებულმა სააკაშვილმა რომელი იყვნენ: გავითავი არ გამოწერა, არ დაიკითხა, ისინი ჩვენი მტრები არიანო. მერე, 2007 წლის აპრილში, დრო „გვიხელთა“ და გამოცემის დასრულების შემდეგ „ნიმფი“ დაარსდა, საკუთარი ჯიბის ტალღებით „რუსთავი 2“ გააჯეჭა და ნიკა გვარამია ქართველ ხალხს დღემდე უწყობს ყოველდღიურ ჯოჯოხეთს... აი, არასწორად, პრიმიტიულად, გულსამრეხად გაბეჭდილი სიტყვის თავისუფლება.

17 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მკითხველებს შეხვდა. მართალია, ეს ღონისძიება ამ ბეჭდური გამოცემის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა, მაგრამ ნაკლებად საზეიმო განწყობილებით წარმართა, რადგან ბევრი პრობლემა დაუგროვდა ქართულ პრესას, რომელთა შესახებ გულწრფელად და გულსტკივილით ისაუბრეს მეცნიერებმა, ჟურნალისტებმა, ფართო საზოგადოების წარმომადგენლებმა, გაზეთის ერთგულმა მკითხველებმა. საქმიანი განსჯა-განხილვა გაიმართა, რომელსაც ტონი მისცა „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარმა რედაქტორმა სპარტაკ ქოზაშვილმა. გათავზობით მისი შესავალი სიტყვის საგაზეთო ვარიანტს.

საუკუნოვანი გაზეთის — „საქართველოს რესპუბლიკის“ ბედი ტყუპისცალივით ჰგავს იმ ხალხისა და სახელმწიფოს ბედს, რომლის ჭირვარამსაც გამოხატავდა და დღესაც გამოხატავს ეს მუდამ სანდო, სამართლიანი, არასენსაციური, არაჭორიკანა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე გაზეთი.

1918 წელი სამი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენით იყო გამორჩეული. 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა ჩვენი დედაუნივერსიტეტი; 26 მაისს ხელი მოეწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და დაფუძნდა პირველი ქართული დამოუკიდებელი რესპუბლიკა; 25 ივლისს კი გამოვიდა ამ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელსაც დროის ქვემოთ ყველაზე თვალსაჩინოდ ადგას ეწერა: „საქართველოს მთავრობის მოამბე“. რა თქმა უნდა, პირველსავე ნომერში, რაც დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით საინტერესოდ

აღიქმება, მაშინდელი მთავრობა, გაზეთის დაარსების მოთავენი ხაზს უსვამდნენ ქართული გაზეთის გამოცემას: „ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ექნება თავისი ოფიციალური ქართული ორგანო, სადაც განუწყვეტილი იმეცხვებენ სახელმწიფოებრივი ენა, კანონი და სამართალი, იმეცხვენ დღემდე მთელი ხალხის საყვარლებოდ და სახელმძღვანელოდ!

ეს გაზეთი არის ჩვენი მთავრობის მოამბე, რომელიც დღეს პირველად ევლინება საქართველოს ხალხს. ქართველი ხალხი დღევანდლამდე მოკლებული იყო საშუალებას, პირდაპირ მშობლიურ ენაზე საესებოთ ეგრძნო და გაეგონა ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს უზენაესი ორგანოების ოფიციალური ქართული სიტყვა და ნებისყოფა“...

და ამ სახელმწიფოებრივ ქართულ ენაზე გაზეთი თითქმის სამი წელიწადი წარმართავდა ჩვენი საზოგადოების თავისა და ბერის დემოკრატიულ აზრს, სანამ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ჩა-

ქართული ბეჭდური მედიის პრობლემები

საქართველოში

რესპუბლიკა

ნაცვლად 1920 წლიდან თითქმის იატაკქვეშეთში გამომაგალი „კომუნისტით“ და მას დაეკისრა რესპუბლიკის უპირველესი გაზეთის ფუნქციის შესრულება იმ მიმართულებითა და მიზნით, რომელსაც მუშათა კლასის დიქტატურა მოითხოვდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მთელი 70 წლის განმავლობაში ეს საოცრად პოპულარული გაზეთი ქართული კულტურის, ისტორიის, მეცნიერების, მედიცინის, ახალგაზრდული პრობლემების, სპორტისა და სხვა სფეროების ქობაში და პოპულარიზირების იყო. ვიღაცას, შესაძლოა, ეჭვი შეეპაროს, მოეჩვენოს, მაგრამ ყველასთვის ხელმისაწვდომი და თითოეულ ქართველს მოეხება შემავალი გაზეთი ქართული ცნობიერების დამამკვიდრებელი გახდა. არ არისა და ბერის დემოკრატიული აზრს, სანამ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ჩა-

ნააზრველი ამ გაზეთში არ დაბეჭდილიყო... 80-იანი წლების ბოლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა და შემდეგ დამოუკიდებლობადგინელი ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საოცარი ოპერატიულობით აღადგინა გაზეთი იმავე ლოგოთი და იმავე ფორმატით. მას შემდეგ, უკვე 28-ე წელიწადია, მრავალჭირგადახანდა „საქართველოს რესპუბლიკა“ წარმოუდგენელი ერთგულებით ემსახურება მკითხველს, თუმცა და, რაც უფრო ნინ მივიდებით ტექნიკური, კომპიუტერული ცივილიზაციის გზით, მით უფრო იკლებს ნივთიან და გაზეთის მკითხველთა ოდენობა და, საბაზრო ეკონომიკის აბსოლუტურად გაბაზრებული პრინციპების, დაუნდობელი კონკურენციის პირობებში, ბეჭდური მედია სულს ღაფავს. ქართველ კაცს, ჩვენდა

საუბედუროდ, სულის საზრდოს მუდამ ერჩია კუჭის საზრდო. გახსოვთ, ილია ჭავჭავაძე მთელ საქართველოში 500 ხელმომწერს ნატრობდა და ვერ პოულობდა... სერგი მესხმა 14 წელიწადი რის ვაი-ვაი-ლახით ათრია უმშვენიერესი გაზეთი „დროება“ და... თავისი ჯანმრთელობაც ამ გაზეთის შესწირა... რაღა შორს მივდივართ, მკითხველის გულგრილობის, ხელისუფლების უყურადღებობის გამო დაიხურა გაზეთები: „თბილისი“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „ნერგი“ და სხვ. ფინანსურად გაუჭირდა ქართულ ჟურნალისტთა კორპუსს.

ქართული პრესის ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებად იქცა „საქართველოს ფოსტის“ ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია: ჟურნალ-გაზეთების ჩამორიგება ძვირი გვიჯდება და ამ საქმეზე ხელს ვიღებთ! დავრჩით მხოლოდ კერძო გამომცემლებს ამბარა, რო-

მლებიც თავიანთი განწყობით აროგებენ გაზეთებს. მათობით თბილისის გარეთ პრესა საერთოდ არ იგზავნება, დაინტერესებული მკითხველი კი გვეკითხება — გამოვიწერ გაზეთს, მაგრამ ვინ მომიტანს? თბილისშიც კი კერძო დამატარებლებს კონკრეტულ მისამართებზე (განსაკუთრებით მაღლივ კორპუსებში) ჭირის დღესავით ეზარებათ ჟურნალ გაზეთების ჩამორიგება... თვით სახელისუფლო ორგანოებშიც კი აქა-იქ თუ აქვთ გაზეთები გამოწერილი, საქართველოს პარლამენტის თითქმის არც ერთ დეპუტატს გაზეთები, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკა“, გამოწერილი არ აქვს... გახსოვთ, ალბათ, 2004 წელს გაბრაზებულმა სააკაშვილმა როგორ იყვირა: გაზეთები არ გამოწეროთ, არ ნაკითხოთ, ისინი ჩვენი მტრები არიანო. მერე, 2007 წლის აგვისტოში, დრო გვიხელთა და გამოცემლობა „სამშობლოდან“ გამოგვყარა, შემდეგ „ნიმფი“ დაარსდა, საკუთარი ჯიბის ტელევიზია, „რუსთავი 2“ გააჯეჭა და ნიკა გვარამია ქართველ ხალხს დღემდე უწყობს ყოველდღიურ ჯოჯოხეთს... აი, არასწორად, პრიმიტიულად, გულსამრეხად გაგებულ სიტყვის თავისუფლება. ერთი სიტყვით, მასმედიის ქართულ ბაზარზე დიდი არეულობაა... დღევანდელი მთავრობა კი განხევა გამდგარი, თითქოს პრესის პრობლემები მისი არ არის.

საბაზრო ეკონომიკა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი

სიტყვა გადაგვარება ფრიად საგულისხმო ქართული სიტყვაა და წარმოებულია გვარისგან. გვარი კი ქართულ მეტყველებაში შთამომავლობას ნიშნავს და პატივისცემასაც იმსახურებს.

გადაგვარება ღირსების დაკარგვის გამოვლინებაა. თუკი გულდასმით განვიხილავთ ე.წ. საზოგადოებების განვითარების ფორმაციებს, დავრწმუნდებით, რომ „პირველყოფილი თემური ფორმაცია“ იყო მხოლოდ საზოგადოების განმავითარებელი, სხვები საბატონატურია და გადაგვარებული.

„პირველყოფილმა თემურმა ფორმაციამ“ მას შემდეგ დაკარგა თავისი ღირსება, როცა თემის თავკაცების შეცვლა მათივე გვარიდან მომდინარე შთამომავლობით დაიწყო, რასაც მოჰყვა მონათფლობილი, ფეოდალური და კაპიტალისტური ფორმაციები. მათ შორის კაპიტალიზმი უკიდურესად გადაგვარებულია. უარყოფს უფალს, აღმერთებს ფულს და კაცობრიობას აპოკალიფსისთვის ამზადებს. პარლამენტი, პრეზიდენტი, პარტიები და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები კაპიტალიზმის პირმშობლები არიან და ემსახურებიან მას. ცდილობენ, ხალხი ბრბოდ (მასად) გადააქციონ, რათა ერთსულოვნება არ ჩამოეყალიბდეს და ბრძოლისუნარიანობა დაუქვეითდეს.

თემის სათათბიროს (საბჭოს) წევრები მასში შემავალი უზნების ღირსებული წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის ყველაზე მეტად ღირსებით გამოირჩეულს თემის თავკაცობას ავალბდნენ სათათ-

ბიროს წევრები და საიმედო თანადგომის პირობასაც აძლევდნენ. თემური მმართველობა საფიხნოს სახელწოდებით კავკასიის მთიან ზონაში მეოცე საუკუნის ოციან წლებშიც კი იყო შემორჩენილი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შექმნა სტალინმა სახელმწიფო მმართველობის საბჭოური სისტემა და დედამიწის ერთ მეექვსედზე დაამყარა იგი, საბჭოთა კავშირის სახელწოდებით.

სტალინმა ფაბრიკა-ქარხნები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ქვეყნისა და ხალხის საკუთრებაში მოაქცია, მოხდა მშრომელთა სრულყოფილად დასაქმება, დაწესდა უფასო სწავლა-განათლებლის მიღება და სამედიცინო მომსახურება.

საბჭოთა კანონები ეფუძნებოდა უფლის მცნებებს! ოქტომბრის რევოლუციის მიზანი რუსეთში მონარქიის დამხობა და კაპიტალიზმის დამკვიდრება იყო. რევოლუციის ყველაზე აქტიურმა ორგანიზატორმა, სიონისტმა-სიონისტმა **ლევ ტროცკიმ** შეძლო ინტელიგენციის სოლიდური ნაწილის გადაბირება. დაამხეს მონარქია, დაინდევს კაპიტალიზმის დამკვიდრებისთვის მოქმედება, დაანგრეს მართლმადიდებლური ტაძრები და სალოცავები, დახვრიტეს და გადაასახლეს მათ-

გადაგვარება



რთლმადიდებელი სასულიერო პირები, არ დაინდევს ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც არ მიესალმნენ ტროცკისტულ იდეებს. მაგრამ სტალინმა, უფლის ნებითა და შემწევობით, შეძლო

სიონისტთა შემოტევის შეჩერება, საჭირო გახდა ტროცკის მხარდაჭერითა რეპრესიები. დღეს კაპიტალისტთა სათარემოდ გადაქცეული საქართველოს ე.წ. ინტელიგენცია ცდილობს, ტროცკისტუ-

ლი რეპრესიებიც კი სტალინს მიანეროს. დიდმა სამამულო ომმა სტალინს შესაძლებლობა არ მისცა კომუნისტური პარტიის გაუქმებისა (თუმცა საგრ-

ძნობლად შეამცირა მისი როლი), ასევე შეაფრხა საბჭოური მმართველობის სრულყოფილებისკენ მსვლელობა. ომში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, რამაც საგონებელში ჩააგდო სიონისტური დასავლეთი. თვით დასავლეთის ლიდერებმაც კი აღიარეს საბჭოთა კავშირის წარმატებები და „სტალინის უნიკალურობა“. მაგრამ 1953 წლიდან, სტალინის მოულოდნელი და საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ, კომუნისტურმა პარტიამ, რომლის რიგებში შემორჩენილი იყო ტროცკისტული ნარჩენები, ძალაუფლებები თითქმის წაართვა საბჭოებს და შეაჩერა ქვეყნის ზნეობრივ-ეკონომიკური სრულყოფილებისკენ მსვლელობა. ოთხმოცდაათი წლების ბოლოს მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლა-დანაწევრება კაპიტალისტების სასარგებლოდ.

სიონისტებმა იციან, რომ რუსეთის სახელმწიფოდ ჩამოყალიბება უკრაინის დაშლა-შურებაა, საქართველო კი შექმნა მძლავრი ანტისიონისტური საბჭოთა კავშირი. ამიტომ დაუპირისპირეს რუსეთს უკრაინა და საქართველო, რამაც გამოიწვია ორივე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ეკონომიკური სიღრმეჭირე და მოსახლეობის სხვა ქვეყნებში გადინება. აი, სადამდე მივდივართ გადაგვარებაში!

ისაიან ახალაძე, სამტრედია



თავილი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დიდი საბაგულო ომის დასაწყისში ლენინგრადი იყო მნიშვნელოვანი მეორე ქალაქი სსრკ-ში 3,2 მლნ მოსახლეობით. ქალაქში მუშაობდა 333 დიდი საბაგულო საწარმო, რომლებშიც სამიანიოვან 565 ათასი ადამიანი. ქალიან დიდი იყო ქალაქის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი — ფუნქციონებდა 130 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საკონსტრუქციო ბიურო, 60 უმაღლესი სასწავლებელი და 106 ტექნიკუმი.



ლენინგრადის ბლოკადის დასრულებიდან 75 წელი გავიდა

27 იანვარს 75 წელი შესრულდება, რაც ქ. ლენინგრადი ფაშისტების სამხედრო ბლოკადისგან გაათავისუფლეს (საბჭოთა მეომრებმა ბლოკადა გაარღვიეს 1943 წლის 18 იანვარს). ეს იყო საშინელი პერიოდი, რომელიც 872 დღეს გრძელდებოდა და რომელიც ლენინგრადელებმა გამირულად გადაიტანეს.

ლენინგრადის ბლოკადა — ეს იყო სამხედრო ალყა ქალაქ ლენინგრადისა (ამჟამად სანქტ-პეტერბურგი), რომელსაც დიდი სამამულო ომის პერიოდში ახორციელებდნენ გერმანული, ფინური, ესპანური სამხედრო ქვედანაყოფები, ჩრდილოაფრიკელ სამხედრო მოხალისეებსა და იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალებთან ერთად. ბლოკადა დაიწყო 1941 წლის 8 სექტემბერს და დასრულდა 1944 წლის 27 იანვარს.

1940 წლის 18 დეკემბერს პიტლერმა ხელი მოაწერა დირექტივა №21-ს, რომელიც ცნობილია, როგორც გეგმა „ბარბაროსა“. ამ გეგმის მიხედვით ფაშისტები არმიების სამი ჯგუფით თავს უნდა დასხმოდნენ საბჭოთა კავშირის სამი მიმართულებით: არმიების ჯგუფი „ჩრდილოეთი“ — ლენინგრადს; არმიების ჯგუფი „ცენტრი“ — მოსკოვს, არმიების ჯგუფი „სამხრეთი“ — კიევის. მოსკოვის ხელში ჩაგდება გათვალისწინებული იყო ლენინგრადის დაპყრობის შემდეგ. 1941 წლის №32-ე დირექტივით, პიტლერმა „აღმოსავლეთზე ძლევამოსილი ლაშქრობის“ დასრულების დროდ შემოდგომა გამოაცხადა.

ლენინგრადის დაპყრობით გერმანული ფაშისტები რამდენიმე მნიშვნელოვან ამოცანას გადაწყვეტდნენ:

1. ხელში ჩაიგდებდნენ საბჭოთა კავშირის მძლავრ ეკონომიკურ ბაზას, რომელიც ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 12%-ს აძლევდა;
2. ხელში ჩაიგდებდნენ ან განადგურებდნენ ბალტიის სამხედრო-საზღვაო, აგრეთვე, უზარმაზარ სავაჭრო ფლოტს;
3. დაეხმარებოდნენ ჯგუფ „ცენტრის“ მარცხენა ფლანგს, რომელიც მოსკოვს უტევდა;
4. გაბატონდებოდნენ ბალტიის ზღვაზე და უსაფრთხოდ დაიწყებდნენ მადნეულის გადაზიდვას ნორვეგიის პორტებიდან გერმანიის მრეწველობისთვის.

ბლოკადის დაწყებისას ლენინგრადში არ იყო იმ რაოდენობის პროდუქტი და სასწავლო, ალყაშემორტყმულ ქალაქს დიდხანს რომ გაეძლო. ერთადერთი გზა, რომლითაც ლენინგრადი საბჭოთა კავშირის იმ ტერიტორიებს უკავშირდებოდა, რომლებიც ფაშისტებს დაპყრობილი არ ჰქონდათ, იყო ლადოგის ტბა, თუმცა ამ ტბას გერმანელთა არტილერია და ავიაციის ხშირად ბომბავდა. ტბაზე, აგრეთვე, მოქმედებდა ფაშისტების სამხედრო-საწყობის-ნო ძალებიც. გამტარუნარიანობა ამ სატრანსპორტო არტილერიისა, რომელსაც „სიცოცხლის გზა“ შეარქვეს, არ შეესაბამებოდა ქალაქის მოთხოვნებს. შედეგად ლენინგრადში დაწყებულმა მასობრივმა შიმშილობამ და სუსხიანმა ზამთარმა ასიათასობით სიცოცხლე შეინირა. როგორც ამერიკელი მეცნიერი მანიკლ უოლტერი აღნიშნავს, „ლენინგრადის ბლოკადაში დაიღუპა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე ჰამბურგის, დრეზდენის, ტოკოს, პიროსიმასა და

«სისოსხლის გზა» და ქართველების წვლილი ქალაქის დასვაში



დიდ საბაგულო ომში გაოჩინილი მასობრივი გვირობისა და სიმაგახისთვის ლენინგრადს მიენიჭა (1965 წელს) გვირი-ქალაქის სტატუსი. 27 იანვარი — ფაშისტების ბლოკადისგან ლენინგრადის გათავისუფლების დღე — რუსეთის საბრძოლო დიდების დღეა

ნაგასაკის ჯოჯოხეთში ერთად — 630 ათასი ადამიანი (სხვა მონაცემებით 1,5 მლნ), მათგან დაახლოებით 95% — შიმშილით.

1943 წლის იანვარში, ბლოკადის გარღვევის შემდეგ, ალყა კვლავ გრძელდებოდა 1944 წლის იანვრამდე, სანამ საბჭოთა ჯარები ოპერაცია „იანვრის მეს“ ჩაატარებდნენ. ამ ოპერაციის შედეგად ფაშისტები უკუაგდეს ლენინგრადის სამხრეთ საზღვრებიდან 220-280 კმ-ის დაშორებით.

1944 წლის ივნის-აგვისტოში საბჭოთა მეომრებმა საზღვაო ხომალდებისა და ავიაციის მხარდაჭერით ჩაატარეს ვიბორგისა და ჩრდილო-პეტროზავოდსკის ოპერაციები. 20 ივნისს აიღეს ვიბორგი, ხოლო 28 ივნისს — პეტროზავოდსკი.

რამდენიმე ფაქტი ლენინგრადის ბლოკადის შესახებ:

- * ევაკუაციის სამი ტალღის დროს ლენინგრადიდან გამოიყვანეს, საერთო ჯამში, 1,5 მლნ ადამიანი — ქალაქის მოსახლეობის თითქმის ნახევარი. ევაკუაცია დაიწყო ომის პირველივე კვირაში. ევაკუაცია განხორციელდა ლადოგის ტბაზე „სიცოცხლის გზით“;
- * მტრის თავდასხმის შესა-

ტყობინებლად ლენინგრადის ქუჩებში დამონტაჟებული იყო 1500 ხმამაღლა მოლაპარაკე. ამას გარდა ცნობები გადაიცემოდა ქალაქის რადიოსეულით. განგაშის სიგნალი იყო მეტრონომის ბგერები: მისი სწრაფი რიტმი ნიშნავდა საპაერო თავდასხმის დაწყებას, ნელი — დასასრულს. როდესაც მთავრდებოდა რადიოგადაცემები, მეტრონომის ხმა მინიც ისმოდა, მის კაკუნს ლენინგრადის გულისცემა შეარქვეს;

- * ალყაშემორტყმულ ლენინგრადში პირველი ზამთარი ძალიან მკაცრი იყო — ზოგჯერ თერმომეტრი -32,1 გრადუსს უჩვენებდა ცელსიუსით, საშუალო ტემპერატურე კი -18,7 გრადუსი იყო. 1942 წლის აპრილში თოვლის საფარვის სისქემ 52 სმ-ს მიაღწია. ადამიანები თბებოდნენ ღუმელებით, რომელსაც „ბურჟუიკას“ უწოდებდნენ, სანვავად კი იყენებდნენ ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ — ავეჯს, ნივნებს...
- * ბლოკადის პერიოდში გერმანიის ავიაცია და არტილერია ლენინგრადს დღეში რამდენჯერმე ბომბავდა. სულ ბლოკადის პერიოდში ლენინგრადს ესროლეს 150 ათასი ჭურვი, ქალაქში ჩააგდეს 107 ათასი ფუგასური ბომბი. ფაშისტებმა ჭურვებით დაანგრიეს 3 ათასზე მეტი შენობა, 7 ათასზე მეტი — დაზიანეს;
- * 1943 წლის იანვარში ლენინგრადში იაროსლავლიდან ჩაიყვანეს ათასობით კატა. ამ შინაურმა ცხოველებმა მუსრი გააგულეს ვირთხებს, რომლებიც ქალაქის პროდუქტების მარაგს ანადგურებდნენ. ქალაქი გადარჩა: ვირთხები გაქრნენ. ომის შემდეგ მადლიერების ნიშნად ლენინგრადში, მალაია სადოვოაის ქუჩის სახლების კარნიზებზე განადა კატების ქანდაკებები;
- * დიდ სამამულო ომში გამოჩენილი მასობრივი გვირობისა და სიმაგახისთვის ლენინგრადს მიენიჭა (1965 წელს) გვირი-ქალაქის სტატუსი. 27 იანვარი — ფაშისტების ბლოკადისგან ლენინგრადის გათავისუფლების დღე — რუსეთის საბრძოლო დიდების დღეა.

ალსანიშნავია, რომ ლენინგრადის დაცვაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველებმა სამხედროებმა: გენერალმა ვასილ მუშაპანაძემ, ოფიცრებმა — გრიგოლ გარბაქაძემ, მიხეილ მაჩაბელმა, გიორგი ჯინჭარაძემ, დიმიტრი შანშიაშვილმა და სხვ.

მოამზადა გიორგი განიჩილაძემ



ომის შემდეგ მადლიერების ნიშნად ლენინგრადში, მალაია სადოვოაის ქუჩის სახლების კარნიზებზე განადა ქალაქის ქანდაკებები



რეჟისორი, რომელიც იმხანად მივლინებით არგენტინაში იმყოფებოდა, ამბობდა: „მე გავიხსენებ ჩემს ბავშვსა და თანატოლებს, რომლებიც იმხანად იმყოფებოდნენ ჩემთან ერთად. ისინი იყვნენ ჩემი ბავშვები და მე მათი მშობლები ვიყავი.“

სწორედ ამან ითავსა მთავარი როლი მის გადმოცხადებაში. ბარსელონამ მიიღო მისი და დაფარა მისი მკურნალობის ხარჯები.

თანამედროვე ფეხბურთის ამ ფენომენზე, რომელიც ბევრი ბავშვისა თუ ზრდასრულის კერპად იქცა, უამრავი სტატია თუ წიგნი დაუნერხა და მომავალშიც დაწერენ. უამრავი კინო თუ სატელევიზიო ფილმი გადაუღიათ და მომავალშიც გადაიღებენ, რადგან კიდევ რამდენიმე წელიწადს ითამაშებს მაღალ დონეზე, მაგრამ ამ წერილში მოგიხსენებთ ლიონელ მესის არა უამრავ მიღწევასა და რეკორდზე, არამედ ცხოვრების უცნობ დეტალებზე.

მესი უკვე 31 წლის არის. ცოტა ხნის წინათ მან თავისი მე-400 გოლი გაიტანა ესპანეთის ჩემპიონატში — პირველი ადამიანია ისტორიაში, რომელმაც ამას მიაღწია. ფეხბურთის გულშემატკივრები უკვე მიეჩვენებენ, რომ მესი კაპიტანია, ნახევრად ლმერთი ტატუთი და წვერით, რეკორდსმენი და, უბრალოდ, თანამედროვეობის ყველაზე გამორჩეული და გენიალური ფეხბურთელი, მაგრამ ასე არ იყო ყოველთვის — 15 წლის წინათ ის მხოლოდ იწყებოდა.

დაავადება და მცდელობები დაცინვა

„ბარსელონას“ აკადემიაში მესი პირადად მიიწვია კლუბის სპორტულმა დირექტორმა **პარლეს რეხასამ**. ლეოს პირველი მწვრთნელი ესპანეთში **რუდოლფ გორალი** ამ დღეს ასე იხსენებს: „ჩვენთან მოიყვანეს პატარა ბიჭი. როდესაც ის წარუდგინეს გუნდს და ჰკითხეს, სად თამაშობს, ლეომ ძალიან ჩუმად ნარმოთქვა: „თავდასხმაში“. გუნდის წევრებისგან სიცილი შემომესმა — ესენი იყვნენ ჩვენი მცველები, რომლებიც უკვე იმხანად სიმაღლით გამოირჩეოდნენ. პირველი ვარჯიშის შემდეგ მათ აღარასოდეს დაუცინიათ ლეოსთვის. ხომ გსმენიათ გამოთქმა: ბურთი ფეხზე ჰქონდა მინებულად? ლეოსთან საქმე სხვაგვარად იყო, ისე ჩანდა, თითქოს ბურთი და ფეხი ერთი მთლიანი იყო“. თუმცა ეს ტრანსფერი შეიძლება არც კი განხორციელებულიყო. როდესაც მესის 11 წელი შეუსრულდა, ექიმებმა დაუსვეს იმეოთი დაავადების დიაგნოზი — სიმაღლეში ზრდის ჰორმონის დეფიციტი. რეჟისორი, რომელიც იმხანად მივლინებით არგენტინაში იმყოფებოდა, ამბობდა: „მე ბევრი ვესაუბრე ლეოს. ის საუკეთესო იყო თავის გუნდში, მაგრამ ჰქონდა ერთი პრობლემა — ძალიან დაბალი

იყო. ლეო ტექნიკითა და მოედნის ხედვით ძალიან გამოირჩეოდა თანატოლებისგან. სწორედ ამან ითავსა მთავარი როლი მის გადმოცხადებაში.“

მეგობრობა რონალდინოსთან

პირველ შემადგენლობაში მესის გადაყვანას მხარი დაუჭირა **ფრანკ რაიკაარდმა**. იმხანად (2004 წ.) ის აქტიურად მუშაობდა გუნდის ლიდერების შემცველთა მოსაძებნად. გეგმის მიხედვით, მესი იყო ის, ვისაც უნდა შეეცვალა **რონალდინო**. რაიკაარდი განსაკუთრებით აფასებდა ახალგაზრდა მოთამაშის მრავალფუნქციურობას. ლეო შესანიშნავად გამოიყურებოდა შემტევი ნახევარმცველის ადგილას, მაგრამ ერთხელ, როცა ვარჯიშზე რაიკაარდმა სთხოვა, ორმხრივ თამაშში თავდასხმის ამბულა მოერგო, ლეომ 4 გოლი გაიტანა, სემუელ ეტო, ომ — 1, დანარჩენმა თავდასხმელებმა — ვერც ერთი. „მივხვდი, რომ მესი შეიძლება შეტევის ნებისმიერ პოზიციაზე დამეყენებინა“, — იხსენებს რაიკაარდი. მესისა და რონალდინოს ურთიერთობა ცალკე ისტორიაა. **რონალდინომ პირველმა მიიღო მესი გუნდში და დეკუს სთხოვა, გასახდელში გაეთავისუფლებინა კარადა, რათა მესი გვერდით ყოფილიყო**. ის დაენმარა ახალბედს, მოეძებნა ბინა, როცა ლეო საფეხბურთო ბაზიდან წავიდა, და აურჩია საუკეთესო ვარიანტი ბარსელონის ულამაზეს რაიონში. სხვათა შორის, მესი დღესაც იქ ცხოვრობს, ოღონდ უკვე საკუთარ სახლში.

მესიზე რონალდინო ამბობდა: „ის გახდებდა საუკეთესო „ბარსელონას“ და მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში. მქონდა შესაძლებლობა, მე-ითამაშა რონალდუსთან, მაგ-



ასე აღნიშნავს გოლს მესი

უხნოები მესი

ჩამდინიე ფაქტი ლიონელ მესის შესახებ, რომელიც, ალბათ, არ იცოდა



შენს ლიმის. საუკეთესო გისურვებ, რონი!

მესი ყურადღებას არ აქცევდა კმებას

აკადემიიდან ძირითად გუნდში გადასვლის პირველ თვეებში მესიმ დაიწყო ჯანსაღი კვება. ის პერიოდულად მიემგზავრებოდა არგენტინაში და თითქმის ყოველთვის ბრუნდებოდა ჭარბი წონით. როგორც მესი ამბობს, მისი დედა ამზადებს მსოფლიოში ყველაზე გემრიელ ესკალოპს (ყველისგან, ბოსტნეულისგან, შნიცელისგან, სუნელებისა და ზეთისგან დამზადებული არგენტინული კერძი), რომელიც სუსტად მიირთმევა არადადეგების პერიოდში. ამის გამო „ბარსას“ მენეჯერებმა მესის პირადი დიეტოლოგი დაუქირავეს. ბაზაზე მზარეულები მისთვის ამზადებდნენ სპეციალურ კერძებს ცილებისა და ცხიმების ოპტიმალური რაოდენობით.



მესი და რონალდინო

მისი მოტივაციური პუილი იყო

როცა მესიმ შეძლო გუნდში ადაპტაცია, მის უფროს მენტორად იქცა **პარლეს პუილი**. „ბარსას“ კაპიტანი აცნობდა მას პერსონალს, ათვალერებინებდა ბაზას, აიძულებდა, მოედანზე დარჩენილიყო ვარჯიშის შემდეგ და კიდევ ემუშავა. „მესის სახლი ენატრებოდა. ეს ნათლად ჩანდა, — ყველა პუილი, — მე არ ვაძლევდი მონყენის საშუალებას, ვინცედი ლეოს სტუმრად, მივდიოდი ახალგაზრდული გუნდის თამაშის სანახავად, ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ყოველთვის ვეუბნებოდი: „ლეო, შენ კონცენტრაცია უნდა მოახდინო ფეხბურთზე, შენ განდიდი ფეხბურთელი უნდა გამივიდეს. როგორც ხედავთ, ჩემმა სიტყვებმა იმოქმედა“.

დებიუტი კატალონიურ დარბოში

მესის „ბარსელონაში“ ოფიციალური დებიუტი ჰქონდა



მესი და პუილი

რამ მოხარული ვარ, ვითამაშე მესისთან. ის უნიკალურია“. როცა რონალდინომ კარიერა დაასრულა, მესიმ მას გულისამაჩუყებელი წერილი მიწერა სოციალურ ქსელში: „მე ბევრი რამ ვისწავლე შენგან. მუდამ მაღლიერი ვიქნები, რადგან, შენ ყველაფერი გააკეთე კარიერის და-

საწყისში იმისთვის, რომ თავი შებოჭილად არ მეგრძნო „ბარსელონას“ გასახდელში. გამიმართლა, რომ შენთან ერთად ბევრი რამ გავიზიარე. შენ ხარ არა მხოლოდ ფეხბურთის ფენომენი, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, შესანიშნავი ადამიანი. ფეხბურთი არასოდეს დაივიწყებს

2004 წლის ოქტომბერში — დერბოში „ესპანოლის“ წინააღმდეგ, თუმცა პირველ გუნდში გაცილებით ადრე ითამაშა — იმავე წლის ზაფხულში **ჟოზე მოურიოს** „პორტუს“ წინააღმდეგ. გასაკვირია, რომ მესიმ პირველი გოლი გაიტანა მხოლოდ სეზონის ბოლოს.

2005 წლის 1 მაისს მესი „ალ-ბასეტსთან“ მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე გამოვიდა მინდორზე. ერთ-ერთი შეტევისას ის გაიქცა მეტოქის საჯარიმო მოედნისკენ, მეგობარი რონალდინოსგან გენიალური პასით (მონინალმდეგის და ცვა პირში ჩალაგამოვლული დატოვა) მიიღო ბურთი და კარში გაიტანა.

აი ციფრები, რომელიც დღეს შეიქმნა და უკვე რამდენიმე მომენტით: მესიმ თავისი პირველი ჩამონათვი ჩამოიხრახოდა ესპანეთში მხოლოდ 83 წუთით ითამაშა და მხოლოდ 7-ჯერ გამოვიდა შეცვლაზე. მესის ყოველთვის არ სცმია 10-ნომრიანი მაისურა. ლეოს პირველი ნომერი იყო 30-ი. ამ ნომრიანი მაისურით ლეო საზოგადოებას წარუდგინა „ბარსელონა B“-ს მწვრთნელმა **ხოსე კარილიომ. მოგვიანებით ის ისენებდა: „მინდოდა, ლეოსთვის 10 ნომერი მიმეცა, მაგრამ, სამწუხაროდ, ის რონალდინოს სქონდა. ძირითად შემდეგნელობაში გადაყვანის შემდეგ რაიკაარდმა მოითხოვა, მესის აურჩია ნომერი 1-დან 23-მდე დიაპაზონში. იმ მომენტში თავისუფალი იყო მე-13 და მე-19. ლეომ №19 აირჩია. ათნომრიანი მაისურა კი მესის რონალდინოს ნასვლის შემდეგ ერგო.**


მოგვიანებით მესიმ ისაუბრა ნომრის გადაცემაზე: „ნასვლამდე რამდენიმე თვით ადრე რონიმ დამიძახა და მთხოვა, მე-10 ნომერი ამელო. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო. ის უკვე მაშინ თვლიდა, რომ მე შესანიშნავი კარიერა მექნებოდა“. იმ პერიოდის ლეოს ყველა ახასიათებს, როგორც წყნარ და მორცხვ ყმაწვილს. **ეტო** ყვებოდა, რომ ჭაბუკი მესი ჩაკეტილი იყო და იშვიათად ურთიერთობდა თანაგუნდელებთან, თუმცა ხშირად ხედავდნენ პუიოლსა და რონალდინოსთან ერთად. რაიკაარდი ცდილობდა, შეეტყო, რა არ მოსწონდა მესის გუნდში, მაგრამ ის არაფერს ამბობდა. „ყველაფერი რიგზეა, მისტერ“, — ყოველთვის მესმოდებოდა მესისგან. ჩანდა, რომ მას სახლი ენატრებოდა, რომ ზოგიერთმა თანაგუნდელმა კარგად არ მიიღო და ის ამის გამო შფოთავდა, მაგრამ ლეო არაფერს მეუბნებოდა, ის ილიმოდა და მიმტკიცებდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო.“

სწორედ იმ პერიოდში შექმნა მესიმ გოლის საზეიმო აღნიშვნის რიტუალი. ბურთის გატანის შემდეგ ის გარბის ან რამდენიმე ნაბიჯს დგამს, ცაში იყურება, ხელებს მაღლა ალაპყრობს და პირჯვარს იწერს. ეს ეძღვნება ბებიას. სწორედ მან ურჩია ლეოს მამას, შვილი საფეხბურთო სექციამი მიეყვანა. მესი დღემდე ასე აღნიშნავს გოლს!

(დასასრული ვიდეო ნომერი)
ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთიელა

ქუთაისის ოპერის თეატრი ქართული ოპერის პრემიერას აეზადებს

გიორგი ჩლაიძის «დარისპანის გასაჭირი»



ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი ირინე ლომინაძე) 50-ე თეატრალური სეზონის მორიგი პრემიერისთვის ემზადება — 25 იანვარს წარმოდგენილი იქნება ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გიორგი ჩლაიძის ოპერა «დარისპანის გასაჭირი» (ახალი ვერსია; ვარლამ ნიკოლაძის ლიბრეტო, დავით კლდიაშვილის ერთსახელიანი პიესის მიხედვით). სპექტაკლი მოამზადა დამდგმელმა შემოქმედებებმა ჯგუფმა დირიჟორ ლევან ჯაგაგვის, რეჟისორ მაია გაჩეჩილაძის, მხატვარ თეო კუხიანიძის, ქორმალსტერ ირინე ლომინაძის შემადგენლობით.

საპრემიერო წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის ოპერის თეატრის გუნდი, ორკესტრი, მთავარ პარტიებს შეასრულებენ თეატრის სოლისტები: **ლუბა თითბერიძე** (დარისპანი), **ნუცა ზაქარაძე** (მარტა), **ნათია სტაფანიშვილი** (პელაგია), **ვიმლი ჩარბაზია** (ონისიმე), **მარიკა მარჯალია** (კაროლენა), **სოფიო ბერიძე** (ნატალია), **მიხეილ ქიბაძე** (ოსიკო). დადგმა საქართველოს გა-

ნათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. გიორგი ჩლაიძის მინიჭებული აქვს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და «ხელოვნების ქურუმის» წოდებები. მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია მონო-ოპერა «ნერილი ნესტან დარეჯანისა», მიუზიკლები: «ღვთაბერივი კომედია», «ო, აღონაი, ისმინე», «შაპიტო», «პანორამა», «პატარა კახი», «ნაცარქექია», საბავშვო მიუზიკლები: «ქინქლას ამბავი», «კალიდოსკოპი», ვოკალურ-პლასტიკური დრამა «მზის დაბრუნება», კონცერტი დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის, კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, «თბილისური რაფსოდია» ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, სიმფონიური მინიატურები, საზეიმო კანტატა «გაზაფხული», პოემა «ფიქრნი» (ინსტრუმენტული ანსამბლისთვის), საფორტეპიანო იუმორესკები, ვალსები, ტანგოები, მენუეტები, სონატა-ფანტაზია (მალალი ხმის, ფლეიტის, ჩელოს, ტამბამის და ფორტეპიანოსთვის), ვოკალური ციკლები: «სიყვარულის საგალობელი», «სიყვარულო, ნიჭო სრულო», «ლოცულობს გველი», «ჩუმიად წარსული, ჩუმიად», საგუნდო ციკლები: «ხუთი მწუხარე სიმღერა», «თემები, ვარაციები და ბოლოთქმა», «საგალობლები», «საქართველოს მგოსანი ვარ», ტრიპტიქი «ნინოს ნათელი», «მშობლიური სურათები», «ავე მარია», «სალაღობო», საბავშვო გუნდები ფორტეპიანოს თანხლებით, მუსიკა 100-ზე მეტი დრამატული სპექტაკლისთვის, მუსიკა 21 კინოფილმისთვის, რომანსები, საესტრადო სიმღერები. «დარისპანის გასაჭირის» პრემიერა ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში 25 იანვარს 19 საათზე გაიმართება. მოისმინეთ, იხილეთ და ისაამოვნეთ. **ზურაბ ოიკაშვილი**

საქართველო
თუ გზურთ, გაზეთი, «საქართველო და მსოფლიო» მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საქართველო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
«ელვა.ჯი» — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
«ჯეომედი» — ტელ: 593 209 526
«მაცნე» — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



დონალდ ტრამპმა მოხრაებს შესთავაზა, კონგრესში «დემოკრატების» ლიდერებს აბუკაბი გაუზავნონ

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავის მომხრეებს შესთავაზა, კონგრესში «დემოკრატების» ლიდერებს — ნენსი პელოზისა და ჩაკ შუმერს, რომლებიც მექსიკასთან საზღვარზე კედლის მშენებლობისთვის დაფინანსების გამოყოფას ეწინააღმდეგებიან, აგურები გაუზავნონ.

«შეასწავლით იდეა გაცივების, რომელიც ჩაკ შუმერსა და ნენსი პელოზის სხვა არჩევანს არ დაუტოვებს, გაზავნეთ მათ ოფისებში აბუკაბი და შეასხანეთ, რომ ჩვენ კედელი გვჭირდება», — დაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა სოციალურ ქსელში. ამის გამო შეიქმნა ვებგვერდი, სადაც აგურის შესაძენად ფულის გადარიცხვა ხდება. ერთი აგურის შესაძენად მსურველს 20 დოლარის

ქველ-სახსრათა პათოლოგიისა და გახლოება-განუკუთმის ხანძარი
კოქსარტროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატიოიდიული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიარტრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსრებში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციო სახსრებზე უახლესი მეთოდებით.
ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.
გახლოება-გახსნა 5-დან 20კგ-მდე თევში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მონესრიგებით, ქოლესტერინისგან განმედილი, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუწვევების გარეშე.
ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: ნაკრთის №142, I სართ.
კაბინატი №6. ქალაქი ქუთაისი

იტალიის მთავრობის მეთაური: ევროკავშირს დასლა ემუქრება, თუკი მიგრანტების საკითხზე საერთო პოზიციას ვერ გამოიხატავს

იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯუზეპე კონტესი განცხადებით, ევროკავშირი დასლის რისკის ქვეშ დგას, თუკი ვერ გამოიხატავს საერთო პოზიციას მიგრანტებთან დაკავშირებით. «თუკი ერთ ადგილზე დგომას განვაგრძობთ, არ გვექნება საერთო გზა, ვრისკავთ, რომ დაინგრეს ევროპული აღმშენებლობა», — განაცხადა კონტესი პრესკონფერენციაზე, რომელიც საშინაო საკითხებში ევროკომისარ დიმიტრის აგრამოპულოსთან ერთად გამართა. კონტესი თქვით, იტალია მარტო დატოვებს და ახლა დამოუკიდებლად უმკლავდება მიგრანტების პრობლემას.

კონტესი აგრამოპულოსთან საზღვარო ბლოკადის შესახებ არ უსაუბრია, მათ საზღვრების დაცვის ინსტრუმენტები განიხილეს, რაც უმნიშვნელოვანესი საკითხია მიგრანტთა ნაკადის სამართავად. «სხვაგვარად წავახალისებთ მიგრაციული მიზიდულობის ფაქტორს», — აღნიშნა კონტესი. იტალიის პარლამენტმა გასული წლის 28 ნოემბერს მი-



ლო ანტისამიგრაციო კანონი, რომელიც აიღო ევროკავშირის ახალშესული მიგრანტის გაძევებასა და ზღუდავს ქვეყანაში ცხოვრების ნებას.

გერმანიიდან საქართველოს 62 მოქალაქე გამოაქვეს



გერმანიიდან საქართველოს 62 მოქალაქის დეპორტაცია განხორციელდა. ამის თაობაზე იუწყება გერმანული გამოცემა RTL. გერმანული მედიასაშუალებების ცნობით, 62-დან 26 პირს უარი ეთქვა თავშესაფარზე, საქსონიის რეგიონში, დანარჩენები კი თავშესაფარს გერმანიის სხვა რეგიონებში ითხოვნენ. გერმანული მედია აღნიშნავს, რომ ნინა წლებში საქსონიიდან საქართველოში სამი ჩარტერული რეისი განხორციელდა, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია მოხდა.

www.geworld.ge
საქართველო
ესტუბრათი რვეს სანიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯი
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექირსებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 77 2233 3890 9